



თეატრი



საყოველ-გვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

19 იანვარს

გ ა მ ო ო ც ე მ ა

№ 3

ქ ა ნ ი რ ა ო ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-ს ღირს სამი შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

საყოველ-გვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სივრცე გაზეთი, „თეატრი“-ს იგივე ღირებულება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირათობით

ფასი „თეატრი“-ს: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მოწერათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

მოამზად 1886 წლიდან აბაპი წმინთილი დამოუკიდებელ მოწოდებას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

კვირას, 19 იანვარს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

რაც ვინახავს ველარ ნახავ

პომედი 3 მოქმედ. თხზ., ა. შავარდისა

II

გ უ ბ ი ა ო ბ ა

პომედი 1 მოქმედ., თხზ., აკაკი წერეთლისა

ადგილების ფასი ხვეულებრივია


დასაწყისი 8 საათზე.

ჰამლეტი ქართულს სცენაზედ.

(დასასრული *)

მჭვლითა, როგორც მეორე გმირი ამ ტრაგედისა იმის თამაშობის გარჩევას შეუდგეთ, თუ მ. საფაროვი-ბაზმიძისამ რამოდენად ხელოვნურათ და ცოცხლათ დახატა ეს ნაზი გომბობებით აღჭურვილი ქმნილება; ეს ტიპი ისეთის სისრულით და ცოცხლად იყო დახატული, რომ სიტყვაც არა გვაქვს იმოდენი, თუ როგორ ვაქოთ ეს ნიჭიერი არტისტიკოსი რომელ-

*) იხილეთ „თეატრი“ № 2.



საც ჯეროვანათ ვერ აფასებს ჩვენი ქართული ბეცი პუბლიკა. იქ სადაც თეატრალურს ხელოვნებას პირველი ადგილი უჭირავს ისინიც-კი შეიბუზებდნენ ამ არტისტის ნიჭს, მაგრამ ქართულს თეატრში ხელოვნებას მიკიტნები აფასებენ, რადგანაც იმათ მეტი არა-ვინ დადის თეატრში. მ. საფაროვი-აბაშიძისამ მეტად მშვენიერად და ხელოვნურათ დახატა მფელიას ნაწი გრძნობანი, რომელნიც მაში სადგურობენ და რომლის მსხვერპლიცა ხდება; იმას ემჩნეოდა, რომ იმის გულში სტრიალებდა სხვა-და-სხვა ხასიათების სიყვარული, რომელნიც სულით სტანჯავდნენ, მაგრამ ყოველივე ნათლად ამას მხიარულის გულით ეგებებოდა მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრემდის იმის ნაწს გრძნობას ატანა შეეძლო; მხოლოდ როდესაც იგი ჰკარგავს ორივეს, ესე იგი, მშობლიურს და ჰამლეტის სიყვარულს, მაშინ გონება ერყვეა და ჰკუაზედ იშლება. ისეთის ხელოვნურათ დახატა მ. საფაროვი-აბაშიძისამ ჰკუაზედ შეშლილის ფსიხიკური მდგომარეობა, რომ თვითონ გამოჩენილს ექიმებს გაკვეთილებათ გამოადგებოდათ და იქიდგან გამოიცილობდნენ, თუ ჰკუაზედ შეშლილნი რა შეხედულებას იღებენ.

ნ. საბუელს მეტად რიგიანად შეეგნო მოხუცი პალონიოს როლი, რომელიც მეტად ხელოვნურად დახატა ყოველივე იმის სულის შინაგანი წყობილებანი; ყოველივე სიტყვას თავის შესაფერი სახის გამომეტყველობა მოსდევდა, რომლის სხეულის ექსტიკულაცია ტელეგრაფივით საზოგადოებასაც სცემდა ყოველივე შთაბეჭდილებას. მართი სიტყვით **ნ. საბუელს** რიგიანათ შეესწავლა ამ ტიპის ყოველივე ხასიათნი. საერთოთ ამ მსახიობს რიგიანათ ესმის თეატრალურის ხელოვნების ღირსება და ყოველთვის რიგიანათ ასრულებს ხოლმე თავის პირ-და-პირ დანიშნულებას. მართი სიტყვით ეს ნიჭიერი მსახიობი აუცილებელს საპირობებს შეადგენს ქართული თეატრისათვის.

მ. ანდრონიკაშვილისა საერთოდ რიგიანად ასრულებს და ჰამლეტშიაც რიგიანად ითამაშა დედოფლის როლი. არ შეგვიძლიან უყურადღებოდ გაუშვათ ის ადგილი, როდესაც ჰამლეტი ელაპარაკება და სცდილობს სულით დასტანჯოს. ეს ადგილი როგორც ეტყობოდა მშვენიერათ შეესწავლა და სინამდვილით გაატარა. იმის გულიდგან გამოისმოდა: ტანჯვა, მწუხარება, შეწყნარების თხოვნა, ჰამლეტის მშობლიურათ სიყვარული, რომლის გულსაცა ხდის და იქიდგანა კითხულობს ყოველივე დედა-კაცის სულის და ხასიათების სისუსტეს. ეს ყოველივე ფსიხიკური კანონები მეტად ხელოვნურად იყო დახატული **ქ. ანდრონიკაშვილისაგან**.

ა. მოხევემ ჩვეულებისამებრ როლი და ის ადგილები, სადაც კაცი ცრემლით უნდა დიდვაროს, იმან კომიკურად გაატარა და ხალხი ტირილის მაგიერ ხარხარით მიეგებებოდა ხოლმე იმის გამოხედვას, მაგალითად ის ადგილი როდესაც დედოფალს ამბავი შემოაქვს, რომ მფელია წყალში დაიხრჩოვო, ისეთის ხმით და სხეულის მოძრაობით წარმოსთქო **ა. მოხევემ** სიტყვა «დაიხრჩო», რომ შეუძლებელი იყო საზოგადოებას არ გასცინებოდა.

ეს დიდათ სამწუნაროა, რომ **ა. მოხევეს** რამოდენათაც თეატრი უყვარს, იმოდონათვე როლების სწავლა ეჯავრება, მით უფრო რომ **მ. შექსპირის** პიესებში როლის უსწავლელოთ თამაშობა არ შეიძლება.

ბ. მაქსიმოძემ ისეთი უხვირო შთაბეჭდილება იქონია ჩვენზედ, რომ აღარც-კი გვინდა მოვიგონოთ; მეტადრე იმისი ნაწი და მელოდიური ხმა, რომელიც მოშლილი წისქვილის ღრტიხს წაგავს. სრულებით ვერ შეეგნო **ბ. მაქსიმოძეს** ბორაციოს როლი. ჩვენ თვალწინ იდგა თვითონ **ბ. მაქსიმოძე** და არა შექსპირის ბორაციო. მართი სიტყვით კაცს, რომ თვალი ედევნებინა იმისათვის, უეჭველად იფიქრებდა, რომ ბორაციოს როლი მეტია ჰამლეტშიო, ის კი არა, თუ ბორაციო კი არ არის მეტი, **ბ. მაქსიმოძე** უხვირო მსახიობია და თავის ქცევით ხელოვნებას აწამებს.

ი. ცაგარელი, თუმცა ცდილობდა შეესრულებინა თავის როლი, მაგრამ სრულიად იმის როლი არ არის და ამიტომაც ვერაფერს შევლობდა მქადელობა. იმას არ ეტყობოდა ის მეფური დიდება, რომელიც იმის ხასიათს შეადგენს; აგრეთვე სიღარბისლეს მოკლებული იყო, მაგრამ სწორედ უნდა სთქოს კაცმა, რომ დაახლოებით რიგიანათ გვაჩვენა ეს ტიპი. მხოლოდ როგორც ეტყობოდა, რიგიანათ ვერ შეეგნო, თუ ვერ შეიძლო, იმ მღელვარების ჩვენება, როდესაც წარმოდგენას უყურებენ. იმის სახე სრულიად არასა ხატავდა, და უეცრივ წამოხტა და გაიქცა.

ბ. ლომიძე საერთოთ, სვინილისიანად ეკიდება თავის საქმეს და როლებს რიგიანათა სწავლობს; თამაშობის შესახებ კი ვერას ვიტყვით, რადგანაც ვერ იმისთანა როლი არ უთამაშნია, რომ შეგვეძლოს რამე მსჯელობა გავსწიოთ, მხოლოდ ამას კი ვიტყვით, რომ თუ ვერც ეცადა, რიგიანი მსახიობი დადგება. **ანარჩენს** მსახიობთაც არა უჭირდათ რა. მართი სიტყვით დასჯილებით მიაღწიეს და შეასრულეს

თავიანთ დანიშნულებანი, თუ რომ ამ ორს ზე-მოყ-
ვანილს პირს არ დაეშალა.

ი. კავთელი.

მოგაკვლავი ბავშვი

დედა საწყალი ძილ გათხოვბილი,
 დღე და ღამ დასტყვეს მომაკვდავ შვილსა;
 დასტყვეს, დედება, იმედსა სწვეტავს
 რომ ის შორდება თვის ერთსა შვილსა.
 საჩუქრებს ფართსავე, გულთ იკრეთს ხელსა,
 ყვირის, უწოდებს დედას ერთგულსა:
 — „მიშველე, დედი! გვედები ჰატარა,
 თავს ნუ მარდება, მოდი აქ ჩქარა! —
 შენ მიეფარე, ტყვეს ვსედავ განსა,
 ისიც გაგშორდა, მეც მივდექ თანა!“
 — „იკმაზე, კარგი, შექრო ჰატარა,
 გამოეჭვიე, იკრიფე ძაღსა;
 რაც რომ გეძინა ეკრე გმარა,
 განა ვერ მსედავ, მე რომ აქ ვარ?
 დედა დასტყვეს, შექრო სუსტდება,
 თუკივიით ხტუნავს, სუნთქა უდგება.
 ბოლოს ტირილით დედას შეჭყინა:
 — „გერ დედილო კიდეც მიძანის,
 ფთებისანია, შორს მიქნებს თათსა!...
 აგერ ვერ სედავ ღრუბლებს მიჭკრია...
 მიწვეს, მზიდება... სამოთხის ბაღსა...
 მსესვით ანათებს... რა ღამისია!...
 ეს სიზმარს არ ჰგავს, სწორედ ცხადია...
 მშვიდობით დედავ... სხვას მივდექ მათა!“...
 მივიდა დედამ ხელთ აიფანა,
 ყური მიუგდო, გულს მიისვენა
 ძაღრამ, ამათ! მან განისვენა!
 მკრთალი ღაჟვარდი შინს მოჭყინდა,
 შესხიერება მთლად დაჭკრვდა,
 მზის შუქი ბაღთ, ზედ დაჭყინდა!...

ოქტობრი

ნაზარსი ადგილი

(მოთხრობა *)

მეორე დღეს ღარეჯანამ სულ ქორწილისთვის
შზადებაში გაატარა; სტუმრებიც ბევრი მოიწვია, ერთი

*) იხილე „თეატრი“ № 2.

სიტყვით სანაქებო ქორწილი უნდა გარდაცხადებოდა
 არ გარდაცხადა კიდევ დაზარალებდნენ. მისი მსახური
 მეტი? შინ გასათხოვარი აღარ გაჩნდა და გარდა
 მოსაყვანს არ ელოდებოდა. რაც შეეხება მის სასიძოს
 იგი განსაკუთრებით არასფერს არ წარმოადგენდა,
 იგი ეყუთენოდა იმ ახალგაზდა ბიჭების წრეს რომლებ-
 ბიც პატარაობიდანვე სტოვებენ დედ-მამის სახლკარს
 და ეშურებიან ქალაქებისაკენ. იქ სამსახური ატარე-
 ბენ თავიანთ სიცოცხლეს, თუ ლაქიანობენ, თუ მზა-
 რეულობენ. ამ ხელობებში ამპარტავენობას და მეტიჩ-
 რობას იძენენ; რასაც იშოვიან ტანზე შემოიკრავენ
 და შინისაყენ როდესაც დაბრუნდებიან ბრძანებლობენ
 კიდევაც. შემართად კი ქარაუშუტა არსებების მეტს
 არას წარმოადგენენ.

ღესპინე მთელი დღე ჰყუილამ შემოიღოსავით
 იყო. მას როგორც პირუტყვის ისე დაათრევენ მებობ-
 ლის ქალები; დედოფალსავით: ხან ერთ გვარად მო-
 კახმადენ, ხან მეორე გვარად. საკურველი იყო მისი
 მდგომარეობა ეკლესიაში, — განსაკუთრებით, როდეს-
 საც მას ჰკითხეს, გსურს თუ არაო? — მან ასუსნის
 ნაცვლად ცახცახი დაიწყო ცივებიანსავით. მართი
 კიდევ დაუბნელდა თვალები. ის-ის იყო მზათ იყო
 წასაქცევად, მაგრამ თავი შეიმავრა, თუმცა ენის განძ-
 რევის ღონის ძიება აღარ ჰქონდა. რომ ჰქონოდა
 განა მაშინვე არ დაიძახებდა «არა არ მინდაო»? შემ-
 დგე ჯვარის-წერისა მეფე დედოფალი სახლში წამო-
 იყვანეს, ჩვეულებისამებრ ყველანი ულოცავდნენ ბედ-
 ნიერებას. იმას კი აღარ კითხულობდნენ: საბრალო
 ღესპინე ბედნიერი იყო მართლა თუ არა. ჩვეულები-
 სამებრვე დედოფალი სამთიობოში გაიყვანეს და დას-
 ტოვეს მარტოკა. მხლა კი მართლა საზარელი მდგო-
 მარეობა იყო მისი მდგომარეობა. იგი ჩამოჯდა ტახტ-
 ზე და ნელ-ნელა გონზე მოსდიოდა. მას წინ დაეხა-
 ტა თუ რა მოუვიდა. ღლიდამ მან თავი დაღუბულად
 ჩასთვალა. მსრე არასოდეს არ უგრძენია მას ობლო-
 ბა, მარტოობა. ღლეს დაჭეშმარიტდა თავის ობლო-
 ბაში. იგრძნო, რომ არ ჰყავს დედა, არ ჰყავს მამა.
 შემდეგ მოიგონა იაკობი, რომელსაც ვაკვრით გარ-
 დაავლო თვალი. ღლდავ! რა საზიზღრად წარმოუდგა
 მას იგი. მისი ბეჭდებით შემკული ხელის თითები გვე-
 ლების თავებდად მოეჩვენა. მისი სახე ეშმაკის სახედ.
 შეადარა საბრალომ მას თავის ბიორგი, ისეთი წყნა-
 რი, მშვიდი და მხიარული ბიორგი, რომელიც დღე-
 დამ სამუდამოდ დაეკარგა, რომელზედაც ესრე უღე-
 თოთ ააღებინეს ხელი. შეადარა და სასო წარკვეთილ-
 მა დაიწყო საშინელი ტირილი. მისი ტირილის ხმა
 გამოვარდა დიდ სახლში, სადაც მექორწილები სმად
 ისხდნენ. ბევრმა შესწყვიტა სმა და სიმღერა ამ მოე-

ლენის გამო. იაკოფი, როგორც ვარეთ ნამყოფი, გამოცდილი კაცი, მერმე ქმარი—გაქანა დესპინესა-კენ. მას გაჰყვა ღარეჯანა. მრთავენი ანუგეშებდენ დესპინეს, ეხვეოდენ, ჰკითხავდენ მიზეზს მისის წუხი-ლისას, მაგრამ პასუხის ნაცვლად უფრო და უფრო სტიროდა. უკანასკნელად ღარეჯანამ შემდეგი სიტყ-ვეებით ანუგეშა იაკოფი: „თავი დაანებე შეილო! ნუ გეშინია. მე თვალნაცემია და შელოცვის მეტი არა უნდა რა. ამ სიტყვებით სიძე და ბებია გამოვიდენ ვარეთ.“

ღარეჯანასას დიდი კიჟინი იყო. სტუმრები უზო-მით სვამდენ;—ხოცავდენ ერთმანერთს ღვინით. ღა-ჯიბრებული მსმელები წყვილ-წყვილად ისხდენ და თვალეზი ჩასისხლიანებოდათ მეტის-მეტი სმისაგან. ღაირა, ტაში, ცეკვა, მღერა ერთ ხმათ იყო არეული. რიჟრაჟი იყო. დაქანცული სტუმრები ისევ ისხდენ. ზოგი სუფრაზე ეყარნენ და ზოგი სუფრის ქვეშ. აქეთ-იქით გაიგონებდი, უთავბოლოდ წარმოთქმულს, რაიმე ოხუნჯურ შენიშენებს. მზემ წვერი ჰკრა. სტუმ-რებიც იშლებოდენ. სამთიობოში, სულიერი ბრძო-ლისაგან მიქანცულს, დესპინეს მისძინებოდა. მის შო-რი-ახლო იმავე ტახტზე მხარ თეძოზე წამოწოლილიყო მისი ქმარი იაკოფი.

სალამოს ჟამი იყო. მზე კიდევ დაკიდებულიყო ჩასავალად. ხეების ჩრდილები შორს განრთხეულიყ-ვენ მინდორზე. ნიაფი დაჰქროდა და ფანტავდა მიდა მო მდღელოებიდამ და ტყვეებიდამ ამოტაცებულ სუნ-ნელებას. მწყემსები მინდვრიდამ შინისაკენ მოგრეყე-ბოდენ პირუტყვებს. მართი სიტყვით ყოველ გვარი ცხოველი განსვენებას ესწრაფებოდა, დღისით დაღა-ლული. შიცრულ საჯალაბო სახლზე მიდგმულ ოთახში, ისხდენ ტახტზე დესპინე და იაკოფი. მს უკანასკნელი ყოველ გვარ ღონის ძიებას ხმარობდა, ოღონდ დესპინეს მისთვის ხმა გაცა

— ბეყოფა, გენაცვალე! ნუ მომკალი. რას მემ-დური, რა დამიშავებია? მუბნებოდა იგი და სცდი-ლობდა ქალისათვის ეკოცნა. მაგრამ დესპინე არ ნებ-დებოდა და იგერებდა მას რაც ღონე ჰქონდა. უკა-ნასკნელად, როდესაც მას საქმე გაუჭირდა, მკვანეთ უთხრა იაკოფს.

— ძარგია! დამეხსენი შე უღეთო, თორემ ვი-ტირებ.

— რათა გენაცვალე? რათა შენი ჰირიმე? სატი-რალი რა გაქვს? რატომ არ გიყვარვარ, რა გემარ-თება?

— არ მიყვარხარ, ვერ გაიგე? უპასუხად დესპი-ნემ და მიიბრუნა პირი კედლისაკენ.

— მაშ სხვა გიყვარს? აბა მითხარი, ვინ გიყვარს? ჩასცივებოდა იაკოფი საცოდავს.

— დამეხსენი ღვთის გულისთვის, მეშინიან შენი. შენ საძაგელი ხარ.

— ჰერი ჰაა! ახლა რა დროს ეგებია? მინც უნდა ვიყო მაინც ქმარი ვარ.

— ქველა გჯობია შენ. ძაღლს ჯობით მაინც მოიგერებს კაცი.

— რაებს ბოდავ? ახლა გულს კი ნუ მომაყე-ვინებ. ჯობით მოგერება თუ გინდოდა კაცს აღარ მიეკარებოდი, რაღაზე მომყევებოდა? მე ხომ ძალა არ მისმარია? რას ამბობ? მაგ გვარ სიტყვებს მე ქალბა-ტონები და ბარიშნები ვერ მიბედავდენ ქალაქში. სულს ვერჩიე ყველას; უჩემოდ ლუკმას არ იდებდენ პირში. მერე ის ოხერი ბარიშნები. რა ლამაზები არიან, შენიჭირიმე! სულ გულზე შეხვეოდენ. სულ მკოცნი-დენ. აი ასე... და იაკოფმა კვლავად მოინდომა დეს-პინეს კოცნა, რომელთაც არასფრასთვის არ ეთანხმე-ბოდა.

— მომშორდი, შენ ღვთის პირისაგან დაწყე-ლილო!

— რამ გადაგრია ადამიანო? ახლა გულს კი ნუ მომაყევანინებ, თორემ მე თუ გავგულისდი, პა, პა, პა!

— ნეტაი კიდევ მომკლავდე. დესპინეს თვალეზი ცრემლებით ავესო. იაკოფამაც იგრძნო, რომ ლაპარაკი და ხუმრობა უსიამოვნობას ჩამოაგდებს მათ შორის და ამის გამო ამჯობინა დესპინე მარტო დაეტოვებინა. მან ყველაფერი ესე შეშვილა ღარე-ჯანას და უთხრა, რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძ-ლიაო. ღარეჯანას რაღა გაეწყობოდა ვარდა იმისა, რომ ენუგეშებია შემდეგი სიტყვებით.

— ბავშვია, შეილო! დაცადე, ნუ აუჩქარდები, ქმარ შეილისა არა იცის რა ჯერ.

— შენ რაღას მელაპარაკები. ძალი გათხოვილა, რაღა დროს ბავშვია. ძაცის უნახავად მხდი თუ რო-გორაა შენი საქმე, მუბნებოდა გაჯავრებული იაკოფი ღარეჯანას.

უსიამოვნობა თან და-თან იზრდებოდა ღარეჯა-ნას ოთახში. საქმემ იქამდის მიიღწია, რომ იაკოფმა ძალა იხმარა დესპინეს გასაუპატივებლად. შემდეგ ამისა უფრო საზიზღარი შეიქმნა იაკოფი დესპინესა-თვის. იაკოფის მდგომარეობაც ცუდი იყო. იგი კარ-გათ გრძნობდა დესპინეს მისდამი სიძულვილს; ამის მიზეზით იგი სულ მუდამ დღე ღრინავდა ავადმყოფი-

ვით. ორჯერ, სამჯერ, როგორც მოგახსენებენ, ხელითაც შეეხო ღესპინეს.

— როდემდის გინდა ეგრე მაწვალო. ის არ იფიქრო შენს მეტი სხვა რასმეზე ვიფიქრო. სანამდის შევიძლებ გცემ და არ გატირებ. ან მოგარჯულებ, ან სულ მოგკლავ. მუბნებოდა იაკოფი ღესპინეს, რომელიც პასუხს არ აძლევდა. შუანასკნელად თავმოხედვებულმა იაკოფმა გადასწყვიტა თბილ ქალაქში წასვლა მოჯამაგირედ. იფიქრა მან: „ერთს წელიწადს დაეყოფ ვარეთ, იქმნებ ამ ხნობით მოკვირანდესო“. შეიკრა ბარგი და არც კი გამოესალმა სახლობას.

— შენ ბებერო! შენ გებარებოდეს შენი შეილი-შვილი, და შენც ქალბატონო! ხომ გაცნობე თავი. იქიდან რო ჩამოებრუნდები მაშინ უკვეთ გაცნობებ თუ არ მოგკვლი. ეს იყო იაკოფის უკანასკნელი სიტყვები დარეჯანა და ღესპინესადმ.

იაკოფის ქალაქში წასვლამ თავიდან ბოლომდე გამოსცვალა ღესპინეს მდგომარეობა. იგი თან-და-თან მშვიდდებოდა და ემორჩილებოდა თავის ბედს. დარეჯანამაც სულ სხვა გვარად დაიჭირა თავი შეილი-შვილთან. აღრინდულად აღარ ექცეოდა: უფრო პატივს სცემდა. რისაგან მოხდა—ეს ძნელი მოსაფიქრებელია. შეიძლება დარეჯანა დანაშაულად რაცხდა თავს ღესპინეს ასე უბედურ გათხოვებაში. მართალიც არის. იაკოფმა საკმაოდ შეაძულა თავი დარეჯანას თავის უმგვანი ქცევით, ასე რომ იმის აზრით სრული დანაშაული ცოლ-ქმარ შუა იაკოფი იყო.

ბიორგისაც ცოტა არ იყოს დარდი გულიდამ გარდაეყარა, იაკოფის წასვლის გამო. მან გაახშირა ავლა-ჩამოვლა დარეჯანას სახლთან და ღობეებში გაჭვრეტ-გამოჭვრეტა. პირველში ღესპინე თავს არიდებდა ბიორგის და არ ეჩვენებოდა. მერმე და მერმე კი გაუადვილა თავის დანახვება. შუანასკნელად ერთს ღამეს, როდესაც ხუთმეტის დღის მთვარე დღესავით ანათლებდა არე-მარეს და თავის ფაქიზ სნივებს მოფენდა სოფელ ზემო-არგვეთის აქეთ-იქით გაფანტულ სახლებს, როდესაც მთელ სოფელს ჩასძინებოდა, ბიორგი გზა წვრილებში მიძვრებოდა და მიეშურებოდა დარეჯანასკენ. მიუახლოვდა რა ეზოს ღობეს, გარდაიხედა ღობის იქით. მან დაინახა ცნობილი ხის ქვეშ მჯდარი ღესპინე. ბიორგის აღარ მოუთმინა გულმა. იშვირა თავი და გადახტა ღობეზე, ღესპინემ რასაკვირველია დაინახა იგი. მას დაუწყია გულმა ტოკვა; ნეტარებასაც და ნაღველსაც ერთად გრძნობდა იგი. ამ ორ გრძნობას რალაც გამოუთქმელი, გამო-

ურკვეველი სინანული დაერთო. ღესპინეს გული ატივილდა. ბიორგი გაექანა მისკენ მოსახვევად, მაგრამ ღესპინე არ ნებდებოდა. მას მოაგონდა რალაც მოვალეობა. მოაგონდა იაკოფი და ქორწინება.

— რა ამბავია ღესპინე? ნუ თუ აღარ გიყვარვარ? ჰკითხა გაკვირვებულმა ბიორგიმ.

ამ კითხვამ საშინელი ზედ-გავლენა იქონია ღესპინეზე. მინ ეკითხებოდა მას: „ნუ თუ აღარ გიყვარვარო?“ ბიორგი, ის ბიორგი, რომელიც სულსა და გულს ერჩია. ღესპინემ ხელები ჩამოყარა და ნაზად მიაცქერდა ბიორგის. არ გაუფლია წამს და იგინი მუსაიფობდენ ერთად.

შემდეგ ამისა ბიორგიმ გაახშირა და გაადვილა ღესპინესთან სიარული. მათი კავშირი თითქმის მთლად ერთიანად გამოაშკარავდა. პირველად დარეჯანას ძრიელ სწყინდა ეს გარემოება, მაგრამ შემდეგში თანდა-თან მიიჩნია. ძიდევეც დამშვიდდა და მათი დღეები წავიდნენ ჩვეულებრივად, ხოლო ბიორგი და ღესპინე უფრო ნეტარებაში ატარებდენ დროს. მათ მთლად დაავიწყდათ იაკოფის არსებობა. ცოლ-ქმარი ეგონებოდა კაცს.

ბაიარა ერთმა წელიწადმა. აღდგა მეორე. მოახლოვდა ზამთარიც. მთელი თუმცა არ ჩამოუყრია, მაგრამ ყინვა და სიცივე საკმარისი იყო. ჩვეულებრივ, ზამთრის პირის ქარი მივინვარებდა. იგი მრისხანედ დაეტაკებოდა ხოლმე სახლის ფარდულებს, თითქმის დაქცევას ღამოდა და გარისხებულნი რა უკუ ბრუნდებოდა ამოიტაცებდა ტყვეებიდამ ჩამოცვივულ ფოთლებს და შრიალით მიაყრიდა სახლის დერეფანს. ღესპინეს ოთხი თვის პაწაწინა ბიჭი უწვა აკვანში და ცეცხლ-ნაპირას აწოებდა ძუძუს. აღარა სჯობდა რა ბავშვისა და დედის ნახვას ამ დროს. ბაღლი პაწაწინა ხელებით ეკიდებოდა დედის ძუძუებს და გულმოდგინედ სწოვდა. შეუშვებდა ცუცუნა ტუჩებს ძუძუს და შელიმებდა დედას, თითქმის ემადრიელებოდა ესრედ ტკბილი საზრდოსთვის და მზრუნველობისათვის. ღესპინეც ამით აღტაცებაში მოსული დაეტნობოდა ბავშვს და ჰკოცნიდა სანამ სულის მობრუნება არ დასჭირდებოდა. მთელი დღე ბიორგი არ მოსულიყო, და ღესპინე ბავშვზე იყოლიებდა თავს. აღამდა. დარეჯანამაც შამოყო სახლში თავი. იგი იმ წამსვე ცეცხლისაკენ გაეშურა.

— უ, უ! რა სიცივეა! ამბობდა ბებერი. შეილო, მახშამი ხომ გვაქვს? ჰკითხა მან ღესპინეს.

— როგორ არა გვაქვს! შუასუხა მან. აგერ, ბავშვს მიეძინებ და მერმე ვივანშმოთ. ბავშვაც დაი-



ძინა. ღვსპინე და ღარეჯანა დაელაგენენ ვახშმად. შუა ქამის ღროს ვილაცამ კარს წინელი ჰკრა.

— მინა ხარ? ზაზძახეს ერთ-ხმათ შემეკრთალმა ქალებმა.

— მე განლაგართ, თქვენი იაკოფი. ძარი გამიღეთ. მოისმა მრისხანე ხმა იაკოფისა. ორთავეს შიშმა ბოლო მოუღო. იგინი გაშემღენ. ველარა მოახერხეს-რა.


— ზამიღეთ კარი მეთქი. ზამიგორა ხმა, უფრო მკვანეთ. ღარეჯანა ინსტიკტიურად წამოღდა და წაბარბაცდა კარებისაკენ. ღვსპინემ ძაგ-ძაგი დაიწყო. მას ლუკმა შეაშეშდა პირში. აკვანი გვერდით ჰქონდა და ისიც ვერ მოახერხა კუთხეში გადაეღდა.

— ოო! ჩემ ნაზ ქალბატონს გაუმარჯოს. მიმართა იაკოფმა ღვსპინეს. ნუ გეშინიან მე უველაფერი გაგებული მაქვს. ადექ, ადექ! შენი ნაბიჭვირინა გამშორდი აქედამ. ღვსპინე ვითარცა ხის ნამორი არ ინძრეოდა.

არ გესმის? შე ოხრის შვილო! მამშორდი მეთქი შენი ლეკვიანა, შეჰყვირა იაკოფმა და ჩაჰკრა ორიოდ წინელი. ღვსპინე არ ინძრეოდა, ვერ ღგებოდა სირცხელით და შიშით.

არ ხედავთ? სასაცილოთაც მიგდებს. ამ სიტყვებით მისწვდა საბრალლო ქალს თმებში, — მიათრია კარებამდე და გაავლო გარეთ. მერმე მოტრიალდა დაავლო აკვანს ხელი და ისიც თან გაატანა. ღარეჯანა კუთხეში მიმალულიყო. მას ვერ შეეგნო თუ რა ხდებოდა იმის თვალის წინ. არ იცოდა ცხადია თუ სიზმარი ყველა ეს. ბრავ მორეულს იაკოფს მთლად დაავიწყდა ღარეჯანა. იგი დაჯდა ცეცხლნაპირას. ღიდ-ხანს ებრძოლა თავს. შემდეგ გარდმოშალა ქვეშ—საგებელი და გაეხვია შიგ.

(დასასრული შემდეგს ნომერში)



თხილნიღამ თეირანს

(წერილი მკობაზთან)

სარწმუნოეო მეგობარო ჰამზა! რაც ერთი-ერთმანეთს დავშორდით, მე შენ ჩემის წერილებით არ შემიწუხებინარ. არც ეხლა გაგიკადნიერდებოდი, რომ ამ ფლიდს მოლა-მუშირს არ გამოვეწვიე და ძალათი კალამი არ აელეზინებინა. მეტრალეზი, ჩემო ჰამზა, რომ ამისთანა მოამზე გაიჩინე, როგორიც არის ეს

მოლა-მუშირი. ღიდი ნაკლულევენება ამ ჩვენის სარწმუნო მეგობრისა ის არის, რომ უპირო კაცია და ამასთან მეტის მეტი მსუნაგიც: საითკენაც არტალას ოშხივარი აჰვარდება, ისიც იქითკენ გაექანება და იქ დასკუბდება. უპირო კაცი, როგორც იცი ჩვენმა ბრძენთა-ბრძენმა ჩირდოუსმა დიაცის ქოშს შეადარა. ზთხოვ უმორჩილესად ამისი პირველი წერილი, რომელიც ამან ერთს გურჯისტანელ გაზეთში, რომელსაც „თეატრი“ ჰქვიან და რომელსაც ის ეხლა «ჯამბაზს» ეძახის, დაბეჭდა, — ის წერილი ხელ-მეორედ, კარგა ყურის გდებით გადიკითხო. იმ წერილში, თავით ბოლომდე გატარებულია ერთი აზრი: გურჯისტანელი ლიტერატორების ცეცხლთა მოთაყვანე ქურუმების გმობა და კილვა. საბრალლო გურჯისტანი! რამდენი ხანი იყო გონება დაბნელებული ცბიერი ქურუმთა დასის ჯამბაზური თვალთ-მაქცობით, მინამ ღვთის განგებით არ მოფრინდა ამ ქვეყანაში ერთი ზე-შთაგონებული ქალთამზე, რომელმაც თავისი სხივოსანის სახით არ გააშუქა აქაური სიბნელე. მაშინ იმათ აეხილათ გონების თვალნი, მიჰხედდენ ვინ იყენენ მათი გონებითი ჯამბაზობის მიზეზი, გაშუოთებულნი მისცვიდენ, შემუსრეს ქურუმთა ბომონი და თითონ ქურუმებიც ყელზედ წნელ-შებმულნი მტკვარში ჩაჰყარეს. აი ეს ცეცხლთათყვანის ცემა, ანუ კერპთა მსახურება ხელ-მეორედ გაძლიერდა გურჯისტანში, რასაკერელოა, მხოლოდ სხვა სახით, სხვა ფორმით. აი ჩვენი მოლა-მუშირი თავის პირველ წერილში გაზეთ «თეატრი» ჰშოლტავდა ამ ცრუ პენტერებს. მერ წარმოიდგენ სადამდინ მიაღწია ჩემმა განცვიფრებამ, როდესაც ეს, ჩვენის მაჰმადისაგან შეჩვენებული, დავინახე სტვირით ხელში ქება-და-დიდებას ასხაედა გურჯისტანის (ივერიის) ქურუმთა-მთავარს და მათ კი, ვის წრემიაც უწინ ჩადგა, ტლინკებს ესროდა! შუქირ-ჰალა! — ამასაც მოვესწარ. მაგრამ აქაური ქურუმთ მთავარი და ახალი გაზეთის „გურჯისტანის“ რედაქტორი მდიდარი კაცია და იმასაც არტალა არა ნაკლებ უყვარს ჩვენს მოლაზედ და სულ ყველაფერი ამ წყეული არტალის ბრალია. მოლა-მუშირი კი არა, ეს მოლა მასრადინაა. მაჰმადმა ჰკითხოხს ამას ჩემმ მაგიერი ჰასუნი. მე ამ ჟამად ამის მეტს არასფერს მოგწერ.

შენი დოუდ-ხანა.



ა ნ ე ტ ა ს

წალმა-უყულმა ბრუნავს
ჩვენი ბედისა ღღენი,
მაგრამ ნუ გემის სატრფოვ:
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

სამც ეცადოს შეაქრას
ჩვენს სიყვარულსა ფრთენი,
ვერრას გახდეს, ფთიცავარ:
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

მვესკენელთ ძაღნიც ამხედრდენ
ჩვენს სამტროდ ანაგზენი,
ვერ გაგყრინ მინცა:
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

მიდრე გული მეკრღში სძვერს,
ძარღვთ გვიდგას სისხლის შთენი,
მანამ ვეცრუთ ერთმანერთს:
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

წუთი სოფლის ქამანდით
ბვესპობოდეს როს ღღენი,
შუანასკენელს წამს ვიტყვით:
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

აბრაამის წიაღშიც
როს ვიქნებით მეოფენი,
იქაც მით დავსტკბებით, რომ
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

მაშ ვიმხნევოთ, სატრფოვო,
მემოთ მტრები ანაღრენი—
ჩვენ მათთვის არ გვცალთა:
შენ ჩემი ხარ, მე შენი!

უკ-ვინტრას.

ქართულ თეატრს და მსახიობთ *)

თუშე თეატრში დავდიოდე, მაგრამ საქმით ვერ ვიცნობდი;
გარკნობით ის მომწონდა, ნეტარებას მითი ვგრძნობდი.
მსახიობნი შემიყვარდენ, მათ სულაზას შეგნატრადი;
თუ შემთხვევით შემსვლბოდა, ვიესებსაც ვეითხულობდი.

*) ეს ლექსი ახალ წლის ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ვერ დაიბეჭდა.

რედ.

რა რომ საქმით გავიცანი, სარკებლობა ვსცნობდი,
იქ ყოფილა გონების წკრთვნა, სპატიო მსახიობნი,
სიბნელიდგან სინათლისკენ ფართო გზა და მკვიდრი ხიდი.
გგრძნობდი მე იქ სიარულით:—ცოტას ვთესდი, ბლომად
ვძვიდი.

ვიესების შესასებ ვი მმ-რთებს, რომ ვსთქვა ცოტა რამა:
რეპერტუარს გარკვიან, ფლავ-ბოზაში და ხაშლამა;
თეატრს უნდა ყველა სადი, ადამიანს ვით სმა-ჭამა,
ვომედი, ტრადედი, ვოდევილი და თვით დრამა.

მ. მ. საფ—აბა...სას

სტენისთვის თავდადებული, აკეთი აზრენ გვეოლიან;
აწმეო დრეს კარგი მსატავი, მომაკლის წინ მძლომელიან;
რადა თქმა უნდა უხდება მას ოფედიას როლიან,
ისე ახათებს სტენაზე, როგორც ნამდვილი ბროლიან.

რამდენი ხანიც გამოდის თან-და-თან უკეთესიან,
სიკეთე ჩვენის სტენისთვის მრავალი დაუთესიან.
ვოდევილებში ცქრიალა, ცუტრუმელა და მკვისიან,
დრამებში სერიოზული, როგორც რიგი და წესიან.

ნ. მ. გაბ.—ცაგ...სას

ცაში და ბრავო ატუდება ყოველს მის გამოჩენაზე,
აღტაცებაში მოკვევართ ყოველსა წარმოდგენაზე.
სიციფს ვერ იტყვს მსმენელი, როცა მას სედავს სტენაზე,
სიმღერს იცის საუცნო ქართულ და სომხურს ენაზე.

ქ. ე. ანდ...სას

ძოტეკვარია პირველი, ეტვი არ არის ამში,
ჯეირანივით დაქროლის ქართულ თუ მოდის კასში.
თან-და-თან ნიჭი იხინა თვით სერიოზულ დრამაში, 1)
უკეთეს მხარეს შეადგენს მისი ლეკურის თამაში.

მ. მ. მძი...სას

ხელგანურათა გადმოგვცა მან მწუნარება დედისა,
შვილის გულისთვის მომთმენის, რძალთან მომდრეკის
ქედისა, 2)

1) დრამა „დამნაშავეს“ ოფანნი
2) დრამა „ცხოვრების თანამოგზაური“



დედამთლის რძალსად წუწუნი, გადია ერთგულ-უბედისა, ³⁾
ახალი დროის მღურავის, უკმაყოფილს ბედისა.

გ. აზა...ძეს.

ყოველი ნიჭით შეძკული, თამბი, გამუდავია,
ქართულ თეატრის საქმესად აქვს დადებული თავია.
სიბნელეს ებძვის მამაცათ, სინამ ტანსად აქვს მკლავია,
ლამის ფესხედ დაყენოს თეატრი მომაკვდავია.

რა როდესაც სელსა მოჭვიდებს დიდის სულგუნებით სსხავს,
მოქალაქეთ და სიწაჟებს ჯავრსე სეთქავს, ენით ლასავს,
მე რა ვაქო, ვისაც უნდა, თვით თეატრში დაინახავს,
უკეთესი სლესტაგოვი ⁴⁾ არა სცენას არ უნახავს.

გ. ზღუა...ძეს.

ტაშის კვრით და უბრალო-ბისით“, როგორც კსედავთ
ხალხი სწავლობს,
„გორანდოს“ როდეს რა თამაშობს, ნამდვილ „გორან-
დოსებრ“ წვალობს.
„ჭამლეტი“ რომ შეითვისოს, გარეგნობით თუმც საშვა-
ლობს,
„ჭამლეტსედ“ ის ეხერხება, როცა გუბლეტებსა გალობს.

ა. მახ...ძეს.

თარგმანებში მოხუცებულთ, არგინაღში სოფლის გლეხებს
ის თამაშობს რიგიანათ; «ლაერტში» ვერ დაიკვებებს.
რეტენსენტსედ ის ცხარდება, თუ ასწავლეს დაიფეთებს,
„ჯამბაზაშვილს“ ⁵⁾ კარგათ ბამავს და ლეგურშიც სმა-
რობს ფეხებს.

ბ. ჯორჯ...ძეს.

ორის წლის წინ მას გინობდი და წელს პირველათა გსე-
დავ,
«მოლონიოს» ცოცხლად აღდგენს, ამის თქმასა მეცა
კბუდავ;
სხვა როდესში იგი თითქმის არ მინახავს, სმას ვიკემენდავ,

³⁾ კომედია „ალერსთა ბადე“
⁴⁾ კომედია „რევიზორი“
⁵⁾ კომედია „მეზღანდელი სიყვარული“

რაც არ ვიცი გავხუდებო, მე სხვის ნათქვამს ვერ წახედავნი

ი. ცაგ...ძეს.

ოჯასთ მამებს, ტკბილ მოხუცებს ძრეფა ჭკავს მისი
გრიმი,
თუმც ერთად ვერ თავსდებათ თვალთ ბრიალი—პირსე
ღიმი.
«კინტოში» გი მას უხდება ქეიფობა და ნადიმი,
საზოგადოთ მისი როლი არ არს ტვირთი დასამიმი.

კ. მაქ...ძეს.

ჩემგნით ვერას დაუმატებ, რაც რომ უთქვამს „რეტენზიას“,
ვითომ როდესაც არ სწავლობდეს, ამითი თავს ამღვეს ზიანს,
ხსსიათებს ერთად ურევს მრისხანეს და თავზიანს,
ყველა როდესი ნისლი ახლავს, „გორუძის“ ⁶⁾ როდესი დღეს
ჭკავს მზიანს.

ბ. ლომ...ძეს.

იმერლის როდეს ის თამაშობს სინამდვილით, არ ჭყავს
ცალი,
ნამდვილს ტიშსა ის გვიხატავს, ისმენს ყური, სელავს
თვალთ,
მაგრამ იგი სხვა როდესში, ვიტყვი, მხანას ერთობ
მკრთალი,
„დონ-ჟერნანდოს“ ⁷⁾ ისე გავდა, ვით ფხიზელსა—ძალ-
სედ მთვრალი.

უკვე ვგრძნობ, როგორც უსწავლის, არ ვარგნან ჩემი
ასრები,
თავის საჩენათ გი არ ვსწერ, ნურც თქვენ იქნებით მცატ-
რები.
რაც ჩამოვსუღვარ თბილისში, რესტორანებში დავსძვრები,
თუ პირველათვე დამტინეთ, მე დამეკარგვის დავთრები.

სანდრუა ბიჭი.



⁶⁾ ოპერეტა «მეფლისი იზაბელიელებითა»
⁷⁾ დრამა «დამნაშავის ოჯახი»

რედაქტორი და გამომცემელი გ. აზაშიძე.